პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ.თბილისი 03.06.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International, სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ლიანა ზამბახიძე - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში - მდივანი);
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები :

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ანზორ მაჭარაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავლის დირექტორი;
ირმა ლომაია - შპს ორიენტირის ხარისხის სამსახურის უფროსი;
ნონა ფანჯიკიძე - შპს ორიენტირის ხარისხის სამსახურის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):

ქეთევან ჯანელიძე;
მადონა გოგობერიშვილი;
შორენა ჯაფარიძე;
პეტრე ბაბილუა.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:25 საათზე. სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამსწრეთა უმრავლესობამ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია ნიკოლოზ ჩაჩხიანი.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან მიმართებით, ან ხომ არ ჰქონდათ აცილება რომელიმე საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრების, ცენტრის წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეების მხრიდან რაიმე სახის შუამდგომლობა და აცილება განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა, შესაბამისად თავმჯდომარემ დაამტკიცა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა სხდომის მდივანს, საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების საფუძველი იყო ფაქტიური მისამართის ცვლილება, კერძოდ, დაწესებულების ახალი მისამართი იყო ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის №26-28/, ჩოდრიშვილის ქუჩა №2. ექსპერტის განმარტებით, შენობა-ნაგებობა მდებარეობდა გზაჯვარედინზე და ამიტომ იყო მითითებული ორი სხვადასხვა მისამართი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ახალ მისამართზე დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის მატერიალური რესურსის სტანდარტებს.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ ექსპერტისთვის კითხვების დასმა. საბჭოს წევრებს ექსპერტის მიმართ კითხვები არ ჰქონით.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავლის (ს/კ: 400046623) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა სხდომის მდივანს, საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა შორენა ჯაფარიძემ. მან საბჭოს მოახსენა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ ავტორიზაციისათვის წარმოადგინა 7 საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ პრაქტიკოსი ექთანის V საფეხურის, ექთნის თანაშემწის III საფეხურის, კბილის ტექნიკოსის III, IV, V საფეხურების, ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის და მცირე ბიზნესის მწარმოებლის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლიო პროგრამები, რომლებიც დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - დირექტორის 2015 წლის 11 სექტემბრის N 62 ბრძანებით. ასევე წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი და ფარმაცევტის თანაშემწე, რომლებიც დამტკიცებულია დირექტორის 2016 წლის 16 თებერვლის N01/21 და N01/22 ბრძანებებით.

1.2 კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსში „კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა“ , სასწავლო კურსის მიზანი და მისაღწევი შედეგები არ არის თანხვედრაში.

1.3 წარმოდგენილ პროგრამებში ექსპერტებმა დააფიქსირეს ასევე ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც ვიზიტის პერიოდში გამოსწორდა დირექტორის 2016 წლის 25 მაისის N 01/64 ბრძანების საფუძველზე, კერძოდ: ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით პროფესიულ მოდულებს, რომელთა შორის არის მოდული „ხატვა“, დაწესებულებამ დაუმატა იგივე მიმართულების ორი მოდული - „ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა“ და „კომპოზიციის ძირითადი პრინციპები“. აღნიშნული მოდულების რიგი სწავლის შედეგი, შესრულების კრიტერიუმები და თემატიკა პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს, რაც მოდულური სწავლების პრინციპებიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, პროცედურის სრული დაცვით, დირექტორის 2016 წლის 23 მაისის N 01/60 და 2016 წლის 24 მაისის N 01/61 ბრძანებების საფუძველზე დაწესებულებამ შეიტანა ცვლილებები პროგრამაში, კერძოდ ამოიღო პროგრამიდან მოდულები - „ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა“ და „კომპოზიციის ძირითადი პრინციპები“ და დაუმატა - მოდულები „რუსული ენა“ და „წერილობით ტექსტთან მუშაობა.

„რუსული ენის“ მოდულში მითითებულ ლიტერატურის ჩამონათვალში სახელმძღვანელოებთან ერთად წარმოდგენილია დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული რუსულენოვანი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც შეუსაბამოა მესამე დონის პროგრამისთვის. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, პროცედურის სრული დაცვით, დირექტორის 2016 წლის 25 მაისის N 01/64 ბრძანების საფუძველზე „რუსული ენის“ მოდულში წარმოდგენილ ლიტერატურის ჩამონათვლიდან ამოღებულ იქნა აღნიშნული წიგნები.

1.4 ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამაში:

1.4.1 სილაბუსის „ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიით" დანართ 1-ში წარმოდგენილ ცხრილში არასწორად იყო დაჯამებული საათების რაოდენობა, ნაცვლად 75 საათისა ეწერათ 55 საათი.

1.4.2 პროგრამის „განხორციელების სპეციფიკის" ნაწილის ცხრილში , წარმოდგენილია საგნების ჩამონათვალი, სადაც ფიგურირებდა საგანი - „სამედიცინო სამართლის საფუძვლები", რომელიც პროგრამის სხვა ნაწილებში არ იყო წარმოდგენილი, მასზე არ იყო გათვალისწინებული საათები და არ არსებობდა სილაბუსი.

1.4.3 სილაბუსში – „ავადმყოფის მოვლა" პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება ითვალისწინებდა როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკულ უნარების შეფასებას, თუმცა მიზანსა და შედეგებში პრაქტიკული უნარების განვითარება მკაფიოდ არ იყო გამოხატული, ასევე სილაბუსში „პირველადი დახმარება" მიზანი და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება ითვალისწინებდა როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების შეფასებას, რაც არ იყო მკაფიოდ გამოხატული შედეგებში.

1.5 კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამაში:

1.5.1 სილაბუსით –„მეტალოკერამიკა და ცირკონის პროთეზები" საგნის მიზნად განსაზღვრული იყო პროფესიული სტუდენტისთვის კბილის გვირგვინისა და კბილთა მწკრივის დეფექტების აღსადგენად გამოყენებული მეტალოკერამიკისა და ცირკონის დიოქსიდის პროტეზების დამზადების კლინიკო – ლაბორატორიული ეტაპების შესწავლა, ხოლო ამავე სილაბუსით სწავლის შედეგებად განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი დაუფლებულია ნებისმიერი ორთოპედიული აპარატის შექმნის ხელოვნებას, იცის საანაბეჭდო და პროთეთიკური ნებისმიერი თანამედროვე მასალის დანიშნულება და გამოყენების მეთოდები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით თანამედროვე მასალებში იგულისხმებოდა მეტალოკერამიკისა და ცირკონის დიოქსიდი, დაზუსტების მიზნით სილაბუსში შევიდა შესაბამისი ცვლილება.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულია ტექნიკური ხარვეზი, საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მოცულობასთან დაკავშირებით, კერძოდ, აღინიშნა, რომ პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამა 150 კრედიტიანია, ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - 163, ხოლო ფარმაცევტის თანაშემწე - 140. შესაბამისად, დაწესებულება ახორციელებდა შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს შემდეგი კრედიტების რაოდენობით:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	V	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
2	ექთნის თანაშემწე	III	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
3	კბილის ტექნიკოსი	III	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	კბილის ტექნიკოსი	IV	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

5	კბილის ტექნიკოსი	V	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
6	ფარმაცევტის თანაშემწე	V	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
7	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	V	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
8	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (მოდულური)	V	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	163
9	ფარმაცევტის თანაშემწე (მოდულური)	IV	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	140

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სასწავლებლის განკარგულებაშია სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, მოდულური პროგრამებისათვის განკუთვნილი A, B და C ტიპის გარემო, ასევე არის ორი სასადილო ოთახი, ადმინისტრაციისათვის და სასწავლო პროცესის მართვისათვის განკუთვნილი ოთახები, ასევე დაწესებულებას აქვს სააქტო დარბაზი გათვლილი 126 ადამიანზე. მოდულური და საგნობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი გარემო გამიჯნულია, გარდა კომპიუტერული კლასისა, რომელიც ორივე ტიპის პროგრამებისთვის გამოიყენება. საგნობრივი სწავლებისათვის განკუთვნილია 8 აუდიტორია, ჯამში 230 სტუდენტზე, ისინი განთავსებულია სამივე სართულზე, მათ შორის არის კბილის ტექნიკოსის ლაბორატორია, საგნობრივი ოთახები კბილის ტექნიკოსისათვის, ფარმაცევტისათვის, პრაქტიკოსი ექთნისათვის.

რაც შეეხება მოდულებისათვის განკუთვნილ გარემოს, ის შემდეგია: ერთი B გარემო გათვლილი 21 სტუდენტზე.

მოდულური პროგრამა	გარემო	აუდიტორია	რაოდენობა
ფარმაცევტის თანაშემწე	C	20, 22, 24	20 სტუდენტზე
ფარმაცევტის თანაშემწე	A	20, 22, 24	20 სტუდენტზე
ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედ.	A	14	20 სტუდენტზე
ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედ.	C	11	20 სტუდენტზე

2.2 ორივე მოდულისათვის განკუთვნილი C გარემოს აღჭურვილობა სრულად შესაბამისობაშია მოდულებში მითითებული ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალთან, რაოდენობასა და ტექნიკურ მახასიათებლებთან.

2.3 დაწესებულებაში შემუშავებულია დირექტორის 2016 წლის 11 იანვრის N01/01 ბრძანებით დამტკიცებული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და სტრატეგიული განვითარების 1 წლიანი გეგმები, რომელშიც გაწერილია თითოეული აქტივობის განხორციელების დრო, პასუხისმგებლი პირები და მტკიცებულების სახე. გეგმებში ასევე გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტების შენიშვნის შემდეგ დირექტორის 2016 წლის 24 მაისის N01/62 ბრძანებით კორექტირებულ იქნა ერთწლიანი

სტრატეგიული გეგმის სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: განვითარების ერთწლიანი (2016 წლის) სამოქმედო გეგმა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, კერძოდ დირექტორის 2016 წლის 6 მაისის N 01/52 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირების და პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის" შესაბამისად. პროფესიულ მასწავლებლებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებულია ხელშეკრულებები.

3.2 ექსპერტებმა დააფიქსირეს ტერმინოგოგიური უზუსტობა დოკუმენტში „მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირების და პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი", კერძოდ „მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირების" და "პროფესიული განათლების მასწავლებლის გამიჯვნა" არ არის მართებული, ვინაიდან ეს ერთიდაიგივეა, აღსანიშნავია, რომ კანონში „პროფესიული განათლების შესახებ" მიღებულია ტერმინი „პროფესიული განათლების მასწავლებელი".

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ, ექსპერტის მიერ გამოთქმული შენიშვნების ნაწილი ადგილზე გამოსწორდა, ხოლო ტექნიკური ხარვეზები უკვე აღმოფხვრილი იყო. დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტს იმ ნაწილშიც, რომ უნდა ყოფილიყო გამოყენებული კანონმდებლობით განსაზღვრული ტერმინი „პროფესიული განათლების მასწავლებელი".

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში რამდენი სტუდენტისათვის შეძლებდა დაწესებულება საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას, ასევე რამდენი სტუდენტის მიღება იქნებოდა შესაძლებელი მოდულურ პროგრამებზე. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ შესაბამისი გარემოს მიხედვით, ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამაზე შესაძლებელი იყო 120 პროფესიული სტუდენტის მიღება, ხოლო ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგზე 40, დაწესებულების სურვილი იყო რომ იმავე კვოტის ფარგლებში გაეგრძელებინათ საგანმანათლებლო საქმიანობა.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 6 ივნისის №65 გადაწყვეტილებით შპს ორიენტირს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 652-ით.

ექსპერტებმა დაადასტურეს რომ პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და სასწავლო გარემო საკმარისი იქნებოდა 652 სტუდენტისათვის, აქედან 160 მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ორიენტირისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის 652-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს ორიენტირს (ს/კ: 200011904) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 652-ით, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 40-ით, ხოლო ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 120 პროფესიული სტუდენტით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა 16:15 საათზე გამოცხადდა დახურულად.

თავმჯდომარე
ნიკოლოზ ჩაჩხიანი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე